ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 43/2014

ქ. თბილისი 22 ოქტომბერი, 2014 წ.

შემსყიდველი –საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო, მისი თავმჯდომარის ელდარ შენგელაიას სახით
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №8 – პარლამენტის სასახლე
ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ.4
საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი.
საიდენტიფიკაციო კოდი: 204 555 702
მიმწოდებელი: სს "გუდვილი"
მისამართი, ტელეფონი: თბილისი, ფარნავაზ მეფის ქ. N.1
ხელმძღვანელი: გენ. დირექტორი ბესიკ ჯიქურაული

საბანკო რეკვიზიტები: BAGAGE22, GE60BG0000000704007300

საიდენტიფიკაციო კოდი: 206 343 991

ერთი მხრივ - **შემსყიდველი**, და მეორე მხრივ - **მიმწოდებელი**, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

''სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-10' მუხლის მესამე პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო აფორმებს ხელშეკრულებას სამეურნეო საქონლის (CPV 5590000) შესყიდვის მიზნით (დანართის შესაბამისად).

2. მხარეთა მოვალეობები.

2.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს: საქონელი 5 კალენდარული დღის განმავლობაში.

2.2 მიმწოდებელი ვალდებულია საქონლის მიწოდება უზრუნველყოს თანმხლები ფინანსური დოკუმენტაციით.

2.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულება განსაზღვრული წესების შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ფასი

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადების ჩათვლით შეადგენს: 494.04 (ოთხასოთხმოცდათოთხმეტი და ოთხი თეთრი) ლარს;

3.2 ერთეულის ფასი განსაზღვრულია დანართით.

4. მიწოდების წესი.

4.1 საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.
4.2 შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს უხარისხო (წუნდებული) საქონლის მიღებაზე.
4.3 საქონლის გადაცემა დასტურდება სასაქონლო ზედნადებით ან ანგარიშფაქტურით.
4.4 შემსყიდველის მხრიდან სასაქონლო ზედნადებზე ხელმოწერის უფლება ენიჭება საბჭოს უფლებამოსილ წარმომადგენელს.

5. ანგარიშსწორების წესი

5.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ღირებულება საქონლის მიწოდებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.
5.2 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.
5.3 ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი.
5.4 გადაცემის თარიღად ითვლება სასაქონლო ზედდებულზე ხელმოწერის თარიღი.

6 მხარეთა პასუხისმგებლობა.

6.1 მხარეები ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ჯარიმდებიან ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.2 %-ის ოდენობით.
6.2 მხარეები ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ჯარიმდებიან საურავით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.2 %-ის ოდენობით.

7. ფორს-მაჟორი

7.2 ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.
7.3 ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

8. სხვა პირობები

8.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014წლის 31 დეკემბრამდე.
8.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ორი ეგზემპლარი შემსყიდველს).
8.3 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სასამართლო.
8.4 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
8.5 ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.
8.6 ხელშეკრულების საერთო პირობები მიიღება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულებით.
8.7 ამ ხელშეკრულების პირობებს და საერთო პირობებს შორის ურთიერთ შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამის მუხლებს.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველის მხრიდან	მიმწოდებლის მხრიდან
საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო	"გუდვილი"
საბჭოს თავმჯდომარე	გენ. დირექტორი
ელდარ შენგელაია	ბესიკ ჯიქურაული